

## გრიგოლ რობაქიძე

### დავით აღმაშენებელი

ეს მკვლერი მართვა-კიდევ უნდა  
დავლოცოთ გენია ქართული სიტყვისა:  
"მართვა", ანუ დგინება "მართლისა"-ეს  
მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული,  
გესვდება არა მარტო ქართულ მითოსში,  
არამედ ქართულ "ისტორიაშიც".

"რამეთუ თქვენ ხელმწიფენი უფალგვცა  
ღმერთმა ქვეყანასა განგებასა"-  
ვკითხულობთ გიორგი მერჩულის უკვდავ  
ნაწარმოებში: "ცხოვრებაი წმინდა გრიგოლ  
ხანბთელისა", "სამეფო ტახტი მერწმუნა  
პირველ ღვთისაგან და მერე მშობელთა  
ჩემთაგან"-ამზობს დიდი დედოფალი  
თამარ. კიდევ უფრო საოცარი:  
საქართველოში ჩვენ გვხვდება თვით  
"მეფე-ღვდელიც". სახელი მისი  
აღმაშენებელი დავით. დიდი მხედარი და  
ნათელმოსილი პიროვნება. ომში მას  
"საღმთო წერილიც" მიჰქონდა ხოლმე თან.  
ერთხელ "სამოციქულოს კითხვამ ისე  
გაიტაცა იგი, რომ კინალამ წააგო ბრძოლა  
მან. თავის სახელს იგი სჭრიდა ფულზე ხან  
როგორც "ხრმალი ქრისტესი" ხან კი  
როგორც "ყრმა ქრისტესი": ხრმალი აქ  
მეყუა, ყმა კი "მღვდელი". გავიხსენოთ Saint  
Bernard და მისი "Règle de l'Ordre du Temple",  
მის მიერ როგორც "Milice de Dieu",  
წოდებული. ჯვაროსანთა მიერ დავითი  
უდიდეს პიროვნებად იყო მიჩნეული.  
მოვიყვანოთ ის ცნობანი, რომელნიც  
შესანიშნავად "მონივთა" ზ. ავალიშვილმა  
თავის ცნობილ ნარკვევში. 1109 წელს  
პარიზში მიიღეს ჯვარი, რომელზედაც  
ქრისტე აცვებს გადმოცემით. გამოძგზავნი  
იყო ანსელმუსს, წმინდა საფლავის კანტორი

იერუსალიმში, ჯვარი დაასვენეს დიდი მოწიწებით ერთ პატარა ბაზილიკაში, რომლის ალაგს შემდგომ აღიმართა ცნობილი ტაძარი "Notre Dame". 1793 წელს, რევოლუციის დროს, ეს ტაძარიც დაარბიეს და ააოხრეს; ჯვარი დაიკარგა უკვალოდ. კანტორი სწერს თავის ეპისტოლეში: მე ეს ჯვარი საქართველოს მეფის დავითის ქვრივისაგან მივიღეო. ნუ გამოვედგებით აქ ისტორიულ შეცდომას; დავითი იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩვენთვის საგულისხმოა ეპისტოლეში ერთი თქმა: დავითმა "გოგსა და მაგოგს" კასპიის ბქენი გადაურაზა და გზები მოუჭრაო.

ვინ არიან ეს გოგი და მაგოგი?  
პინდოარიულ ტრადიციაში ხშირად იხსენიება "საკრავატრი": მეფე ქვეყნისა, რომლის სამყოფელ ადგილად იგულეგებენ ჩრდილო პოლიუსის არეს, საიდანაც იგი ებრძვის ზნელსა და ქაოტურს. "მსემეუენი"-გადმოცემათა მიხედვით-ამ "საკრავატრის"-ის მსახიერებელნი არიან, რომელნიც აგსა და უკულმართთან ბრძოლაში წარღვნას გადაურჩებიან ხოლმე და მაღალ მთებს აფარებენ თავს-გავიხსენოთ ნოე და მისი კიდობანი. ისინი მეფეებად ითვლებიან თორმეტისა: როგორც ზიგვრიდი, კარლოს დიდი და მეფე არტუს. ხალხთა თქმულებაში ამნაირადვე იხახება ალექსანდრე დიდი, აგრეთვე ცეზარიც. ახლოვდება თუ არა ზნელი ხანა, ანუ "ღმერთთა დაბნელება", ეს მზე მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპიროვნებით, აღვივებენ თავიანთ ქმედებით ძალას ღვთიურისა მოწოლილი ზნელისა და ქაოტიურის წინააღმდეგ. გოგი და მაგოგი, ტრადიციათა ცნობით, ხალხთა: ბოროტისა და უკულმართების მატარებელნი, საკვირველი არაა, თუ ეს რწმენა გაცხოველდა ჯვაროსანთა რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ წმინდა საფლავის განთავისუფლებისათვის, და აი ერთი ჯვაროსანი აღნიშნავს სიხარულით-

დავითმა, საქართველოს მეფემ, გოგსა და  
მაგოგს კასპიის საზღვარზე ბჭენი  
გადაურაჯაო, და ვის შეეძლო ეს, თუ არა  
"შზე მეფეს", ანუ "მღვდელ მეფეს"?

ხედავ კარდუ, სად ასულა სახელი  
აღმაშენებლისა?

გაეყვით ქვევით, სირიაში და პალესტინაში  
საქრისტიანო სამთავროების დაარსებით  
საგრძნობლად შელახეს მუსლიმის  
სამელობელო, ხოლო უკანასკნელი არ  
თვლის თავის თავს დამარცხებულად: იგი  
იკრებს ძალას და უცდის ხელსაყრელ ჭამს,  
რომ შეუტოს ჯვაროსნებს და უკუაგდოს  
იგინი. 1119 წელს ნადიმ ედდინ ელდაჯმა,  
ალეპოს სულტანმა, დაამარცხა ანტიოქიის  
მმართველი როჟერ, ანტიოქიელად  
წოდებული. მუსლიმთა სამელობელოს  
იმედი მიეცა, ხოლო ამ იმედს ჩრდილიც  
მოადგა: სწორედ იმ დროს მძლავრდება  
ჩრდილოეთში ერთი საქრისტიანო მხარე:  
საქართველო. მუსლიმთა წინაშე გეგმა  
წამოიჭრა: ჯერ საქართველოს მოსპობა და  
შემდეგ ჯვაროსანთა გარეკვა, გეგმა სწორი  
და კარგად ნაანგარიშევი. 1121 წლის  
აგვისტოში, საქართველოს მოადგა ნადიმ  
ედდინ ელდაჯის მეთაურობით დიდი  
ლაშქარი: 600.000 მხედარი-არაბები,  
სელჯუკები, თურქმენები. აგვისტოს 14-ს  
დიდგორის ველზე დავით აღმაშენებელმა  
დიდი საომარი ოსტატობით დაამარცხა ეს  
ურდოები. ნადიმ ედდინ ელდაჯ თავში  
დაიჭრა და განადგურებული ჯარი  
უკუიქცა. დავითმა გაანთავისუფლა  
ტფილისი საემიროსაგან და ძველი ქალაქი  
სომხეთისა ანი საქართველოს შემოუერთა.

ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ,  
თუ რა დიდ შთახეჭდილებას გამოიწვევდა  
ჯვაროსანთა რიგებში დიდგორის  
გამარჯვება. დავითმა ამ გამარჯვებით არა  
თუ იხსნა მხოლოდ საქართველო  
განსაცდელისაგან, არამედ ამით მან

ფასდაუდებელი დახმარებაც გაუწია  
ჯვაროსნებსაც.

და აი იზრდება მისი სახელი ლეგენდათ  
კიდითი კიდემდე, ერთი ინგლისური  
ქრონიკა-როგორც ეს აქვს მოყვანილი ტიტე  
მარგველასვილს ერთს ისტორიულ  
ნარკვევში, აგრეთვე ა. სანდერსს წიგნში  
"კალკაზიან"-მოგვითხრობს: დავითმა,  
საქართველოს მეფემ, დაირქვა სახელი  
"Presbyter Johannes", გადავიდა  
აღმოსავლეთში და იქიდან მოდის ეხლა  
საქრისტიანოს მოსამკვლელბლადო.

შევჩერდეთ ამ ცნობაზედ. საშუალო  
საუკუნეებში წამოიჭრა მძაფრად ევროპაში  
იდეა "მეფე-მღვდლისა." "Das Heilige  
Römische Reich" გერმანელ მეფეთა მიერ  
ქმნილი, მსოფლმნიშვნელოვანი ცდა იყო ამ  
იდეის განხორციელებისა. ცდა ცდად  
დარჩა, რადგან "მღვდელისა" და "მეფეს"  
შეერთება ერთ პიროვნებაში არ  
მოხდა. კიდევ მეტი: იგი მღვდელისა და  
მეფის ერთიმეორესთან შეხლად იქცა. ამ  
შეხლაში მღვდელი დარჩა თავისთვის და  
მეფე თავისთვის. მარცხი ამ ცდისა  
საბედისწეროდ იქცა მთელი  
დასავლეთისათვის, ნატვრა მღვდელისა და  
მეფის ერთ-სახედ ქცევისა ისე ღრმად იყო  
საშუალო საუკუნეთა ევროპაში  
უესვგამდგარი, რომ მნატვრულთ  
მონატრებული სინამდვილედ  
წარმოესახად: შორს აღმოსავლეთში  
არსებობს მფლობელი, რომელიც ერთსა და  
იმავე დროს "მღვდელიც" არის და "მეფეც",  
სახელით: "პრესბიტერ იოჰანეს",  
ფიქრობდნენ დასავლეთში. პრესბიტერ:  
მღვდელთმთავარი. და აი ინგლისურ  
მატიანეს ეს მღვდელთმთავარი დავით  
აღმაშენებელი ჰგონია.

არც ერთ ისტორიულ მფლობელს, თუ  
გინდ "მზებმეფედ" სახულოს, არ რგუნებია  
სახელის ასეთი ამაღლება: მითიური  
რეალობის ისტორიულ პიროვნებად ქცევა.

ეს ქცევა არ არის შემთხვევითი ამბავი.  
წიაღში იმ ხალხისა, რომლის მდგენის  
პირველ-ხილვით მფლობელი "მწიფე  
ხელიანია", ესე იგი ხელკურთხეული და  
ხელმადლიანი, ერთხელც არის, "ხელ-  
მწიფე უნდა მოვლენილიყო. დავით  
აღმაშენებელი არის ხელმწიფე შენი  
გაგებით კარდუ, და როგორც ასეთი;  
მღვდელი და მეფე ერთსა და იმავე დროს.

მისი ხელის "სიმწიფეს", მის სიმარჯვეს,  
საქართველოს ისტორიაში შემდგომ  
განმტკიცებულს, განუწყვეტლივ  
გრძნობდნენ ჯვაროსანნი შემდეგშიაც.  
ერთი რაინდი ჯვაროსანი სწერს  
ბეზანსონის მთავარ-ეპისკოპოსს:  
საქართველოს ჯარმა, თამარ დედოფლის  
ახალგაზრდა ვაჟის მეთაურობით,  
გადმოლახა მძლეობით მეორე აზია, აიღო  
ცხრა დიდი ქალაქი და სამასი ციხე  
შეანგრია; გამარჯვებულ სარდალს თან  
მოაქვს ნუშტი განსვენებული დედისა,  
რომლის სურვილი იყო იერუსალიმის  
განთავისუფლება; აღფრთოვანებით  
მოველით აქ ჩვენ მასო-აბოლოვებს  
რაინდი. ეს ლეგენდაა მხოლოდ,  
ჯვაროსანთა ნატვრით შექმნილი, მაგრამ  
ხშირად ლეგენდა უფრო ნამდვილია  
ვიდრე ისტორიული ამბავი.

"აი დავით, დიდი მეფე ჩვენი,  
შენ მიერ კურთხეული  
კარდუ!"  
"იგი მარჯვენაა ჩემი!"  
"მარჯი შენს მარჯვენას,  
კარდუ!"

მინაწერი.

1. წინადადებას ვიძლევი: გადაუშალოს აქ  
მოყვანილი "მადანი" რომელიმე  
მკითხველმა რომელიმე მკვლევარს დიდ  
კულტურათა. დაინახავს: მკვლევარი  
განცვიფრებული დარჩება.
2. როცა ჩვენ ვაცნობთ ხოლმე  
საქართველოს უცხოელებს,

ზემოთქმულიდან უნდა გამოვდიოდეთ-  
თორემ "ისე" ჩვენს სიტყვას ზრდილობით  
მოისმენენ. ეს როგორც "რჩევა."

დაბრუნება ისტორიის განყოფილებაში